საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №23

2005 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და დანიის სამეფოს მთავრობას შორის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმის განსახორციელებლად თანამშრომლობის შესახებ“ ქ. თბილისში 2004 წლის 12 ნოემბერს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

1. ძალაში შესვლის მიზნით დამტკიცდეს ქ. თბილისში 2004 წლის 12 ნოემბერს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს მთავრობასა და დანიის სამეფოს მთავრობას შორის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმის განსახორციელებლად თანამშრომლობის შესახებ“.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ს. ზურაბიშვილი):

ა) აცნობოს საქართველოს პარლამენტს ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის შესახებ;

ბ) შეატყობინოს დანიის სამეფოს მთავრობას ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურის შესრულების თაობაზე.

მ. სააკაშვილი